



საჯარო აუდიტის ინსტიტუტი

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	4
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	8
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	9
კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ.....	10
1. საერთო ინფორმაცია.....	11
2. მომზადების საფუძვლები და ახალი ფასს-ების მიღება.....	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	14
4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	14
5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები.....	19
6. ინვესტიციები.....	20
7. მარაგები.....	20
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	20
9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	21
10. სესხები.....	21
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	21
12. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	22
13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	22
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	22
15. წმინდა ამონაგები ინვესტიციის გაყიდვიდან.....	22
16. წმინდა საპროცენტო ხარჯი.....	23
17. წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან.....	23
18. წმინდა სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი.....	23
19. პოტენციური ვალდებულებები.....	23
20. რისკების მართვა.....	24
21. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები.....	25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ (შემდგომში „ფონდი“) და მისი შვილობილების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებების და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსური შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია რომელიც ასახულია ფონდის მმართველობით ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია გულისხმობს მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა

შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია დასაბუთებული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ორგანიზაცია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზაციის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ

ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ჩვენ ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

აუდიტორთა ხელმოწერა:

თამაზ ბულავრიშვილი

აუდიტორი SARAS-A-691189

2018 წლის 5 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს
ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ჩვენ ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადგენს,
აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის
მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

აუდიტორთა ხელმოწერა:

თამაზ ბულაგრიშვილი

აუდიტორი SARAS-A-691189



2018 წლის 5 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	5	80,013,601	79,168,510
ინვესტიციები	6	782,133	891,687
გადავადებული საგადასახადო აქტივი		-	2,492
სულ გრძელვადიანი აქტივები		80,795,734	80,062,689
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	287,007	279,007
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	3,404,870	7,394,511
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	46,755,155	46,916,041
სულ მოკლევადიანი აქტივები		50,447,032	54,589,559
სულ აქტივები		131,242,766	134,652,248
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		56,048,973	54,736,485
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		5,135,379	4,361,182
სულ აქციონერთა კაპიტალი		61,184,352	59,097,667
არამაკონტროლებელი წილი		13,942,770	11,856,787
სულ საკუთარი კაპიტალი		75,127,122	70,954,454
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	10	48,478,530	47,863,088
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		48,478,530	47,863,088
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	10	6,104,419	2,264,949
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,532,695	13,569,757
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7,637,114	15,834,706
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		131,242,766	134,652,248

რომეო მიქაუტაძე
დირექტორი

გიორგი ჩაჩიბაია
ფინანსური დირექტორი

11 – 25 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	5	80,013,601	79,168,510
ინვესტიციები	6	782,133	891,687
გადავადებული საგადასახადო აქტივი		-	2,492
სულ გრძელვადიანი აქტივები		80,795,734	80,062,689
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	287,007	279,007
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	3,404,870	7,394,511
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	46,755,155	46,916,041
სულ მოკლევადიანი აქტივები		50,447,032	54,589,559
სულ აქტივები		131,242,766	134,652,248
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		56,048,973	54,736,485
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		5,135,379	4,361,182
სულ აქციონერთა კაპიტალი		61,184,352	59,097,667
არამაკონტროლებელი წილი		13,942,770	11,856,787
სულ საკუთარი კაპიტალი		75,127,122	70,954,454
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	10	48,478,530	47,863,088
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		48,478,530	47,863,088
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	10	6,104,419	2,264,949
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,532,695	13,569,757
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7,637,114	15,834,706
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		131,242,766	134,652,248

რომელ მიქაუტაძე
დირექტორი

გორგი ჩაჩია
ფინანსური დირექტორი

11 – 25 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	14,106,814	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(6,415,046)	-
სულ		7,691,768	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(3,470,003)	(2,498,380)
საოპერაციო მოგება		4,221,765	(2,498,380)
წმინდა ამონაგები ინვესტიციის გაყიდვიდან	15	86,712	22,955,500
წმინდა საპროცენტო ხარჯი	16	(146,738)	(2,656,276)
წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	17	1,347,917	(4,857,067)
წმინდა სხვა არასაოპერაციო ხარჯი	18	(335,088)	(3,617,763)
მოგება დაბეგვრამდე		5,174,568	9,326,014
მოგების გადასახადი		(45,868)	(2,246,342)
წმინდა მოგება		5,128,700	7,079,672
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		5,128,700	7,079,672
სრული შემოსავალი, რომელიც განკუთვნილია:			
- ფონდის აქციონერები		2,862,592	9,043,968
- არამაკონტროლებელი წილი		2,266,108	(1,964,296)
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		5,128,700	7,079,672

რომეო მიქაუტაძე
დირექტორი

გიორგი ჩაჩიბაია
ფინანსური დირექტორი

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	14,106,814	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(6,415,046)	-
სულ		7,691,768	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(3,470,003)	(2,498,380)
საოპერაციო მოგება		4,221,765	(2,498,380)
წმინდა ამონაგები ინვესტიციის გაყიდვიდან	15	86,712	22,955,500
წმინდა საპროცენტო ხარჯი	16	(146,738)	(2,656,276)
წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	17	1,347,917	(4,857,067)
წმინდა სხვა არასაოპერაციო ხარჯი	18	(335,088)	(3,617,763)
მოგება დაბეგრამდე		5,174,568	9,326,014
მოგების გადასახადი		(45,868)	(2,246,342)
წმინდა მოგება		5,128,700	7,079,672
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		5,128,700	7,079,672
სრული შემოსავალი, რომელიც განკუთვნილია:			
- ფონდის აქციონერები		2,862,592	9,043,968
- არამაკონტროლებელი წილი		2,266,108	(1,964,296)
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		5,128,700	7,079,672

რომეო მიქაუტაძე
დირექტორი

გიორგი ჩაჩიბაია
ფინანსური დირექტორი

11 – 25 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	2017	2016
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	5,174,603	7,079,672
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	3,600,747	162,856
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/ზარალი	(1,341,343)	4,857,067
წმინდა საპროცენტო შემოსავალი/ზარჯი	170,731	2,656,276
მოგების გადასახადი	45,906	2,246,342
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ზარჯი	(11,558)	-
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	7,639,086	17,002,213
სამუშაო კაპიტალის ცვლილება:		
მარაგები	(8,000)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,442,004	515,299
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(12,508,388)	13,113,808
გრძელვადიანი აქტივებისათვის გადახდილი ავანსი	-	5,201,120
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(3,435,298)	35,832,440
გადახდილი პროცენტები	(2,381,863)	(3,268,949)
გადახდილი მოგების გადასახადი	2,455,683	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(3,361,478)	32,563,491
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ინვესტიციები	(1,231,671)	16,706,000
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,616,423)	(62,642,487)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,848,094)	(45,936,487)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	6,117,252	47,863,088
სესხების დაფარვა	(1,626,876)	(42,452,167)
დივიდენდი	(2,432,661)	-
მიღებული პროცენტები	3,331,516	612,673
კაპიტალში შენატანები	-	8,130
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	5,389,231	6,031,724
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა	(820,341)	(7,341,272)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	46,916,041	52,696,078
ფულისა და ფულის ექვივალენტების გადაფასების ეფექტი	659,455	1,561,235
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	46,755,155	46,916,041


რომეო მიქაუტაძე
 დირექტორი


გიორგი ჩაჩიბაია
 ფინანსური დირექტორი

11 – 25 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2017	2016
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	5,174,603	7,079,672
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	3,600,747	162,856
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/ზარალი	(1,341,343)	4,857,067
წმინდა საპროცენტო შემოსავალი/ზარჯი	170,731	2,656,276
მოგების გადასახადი	45,906	2,246,342
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ზარჯი	(11,558)	-
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში	7,639,086	17,002,213
ცვლილებამდე		
სამუშაო კაპიტალის ცვლილება:		
მარაგები	(8,000)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,442,004	515,299
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(12,508,388)	13,113,808
გრძელვადიანი აქტივებისათვის გადახდილი ავანსი	-	5,201,120
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(3,435,298)	35,832,440
გადახდილი პროცენტები	(2,381,863)	(3,268,949)
გადახდილი მოგების გადასახადი	2,455,683	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(3,361,478)	32,563,491
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ინვესტიციები	(1,231,671)	16,706,000
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,616,423)	(62,642,487)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,848,094)	(45,936,487)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	6,117,252	47,863,088
სესხების დაფარვა	(1,626,876)	(42,452,167)
დივიდენდი	(2,432,661)	-
მიღებული პროცენტები	3,331,516	612,673
კაპიტალში შენატანები	-	8,130
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	5,389,231	6,031,724
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა	(820,341)	(7,341,272)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	46,916,041	52,696,078
ფულისა და ფულის ექვივალენტების გადაფასების ეფექტი	659,455	1,561,235
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	46,755,155	46,916,041


რომეო მიქუტაძე
დირექტორი


გიორგი ჩაჩიბაია
ფინანსური დირექტორი

11 – 25 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“
 კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	სულ ჯგუფის კაპიტალი
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	56,801,173	(4,682,786)	52,118,387
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	(2,064,688)	-	(2,064,688)
მიმდინარე წლის ზარალი	-	9,043,968	9,043,968
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	54,736,485	4,361,182	59,097,667
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	1,312,488	-	1,312,488
მიმდინარე წლის ზარალი	-	2,862,592	2,862,592
დივიდენდი	-	(2,088,395)	(2,088,395)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	56,048,973	5,135,379	61,184,352


რომეო მიქაუტაძე
 დირექტორი

გიორგი ჩაჩიბაია
 ფინანსური დირექტორი

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	სულ ჯგუფის კაპიტალი
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	56,801,173	(4,682,786)	52,118,387
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	(2,064,688)	-	(2,064,688)
მიმდინარე წლის ზარალი	-	9,043,968	9,043,968
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	54,736,485	4,361,182	59,097,667
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	1,312,488	-	1,312,488
მიმდინარე წლის ზარალი	-	2,862,592	2,862,592
დივიდენდი	-	(2,088,395)	(2,088,395)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	56,048,973	5,135,379	61,184,352


რომეო მიქაუტაძე
დირექტორი


გიორგი ჩაჩიბაია
ფინანსური დირექტორი

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები


საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

1. საერთო ინფორმაცია

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“, რომლის აქციების 100%-ის მფლობელია სახელმწიფო, დაარსდა 2010 წლის 13 დეკემბერს. 2010 წლის 22 დეკემბერს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციები მართვის უფლებით გადაეცა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს.

2012 წლის 27 სექტემბერს, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის გადაწყვეტილებით სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“ შეერწყა სს „GGEDC“.¹

2017 წელს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გაერთიანების შედეგად ფონდის მართვა დაუბრუნდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რომლის დაქვემდებარებაში არის დირექტორატი და მასში შემავალი სტრუქტურები:



ფონდის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ენერგეტიკის სფეროში წინასწარი კვლევითი სამუშაოების ჩატარება, ენერგეტიკული პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება და ანგარიშის მომზადება, პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება. ჩატარებული კვლევების შედეგად იწერება ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი, რომელსაც ფონდი ახორციელებს შემდეგნაირად: მოიზიდავს ინვესტორს, რომელთან ერთადაც დააფუძნებს საწარმოს (ან 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დააფუძნებს თვითონ) და აღნიშნული საწარმო ახორციელებს ელექტროსადგურის პროექტს, მაგალითად, ქარის ელექტროსადგური გორში, სადაც ფონდი ფლობს 50.1% წილს დარჩენილი 49.9% ეკუთვნის საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას. საწარმოში ფონდის წილი განისაზღვრება პროექტის ღირებულებითა და ასევე ფულადი შენატანების პროპორციულად. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართლის ქარის ელექტროსადგურის გარდა არც ერთი პროექტი არ დასრულებულა.

2. მომზადების საფუძვლები და ახალი ფასს-ების მიღება

ა) შესაბამისობის ანგარიშგება

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ევროგაერთიანების მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ფასს-თან ერთად) მიხედვით (მიღებული ფასს) და შესაბამისობაშია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ გამოშვებულ ფასს-თან.

¹ სს „საქართველოს მწვანე ენერგიის განვითარების კომპანია“

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი, რომელიც იწყება 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს.

შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი კომპანია	ქვეყანა	წილი %	
		2017	2016
სს "ნამახვანი"	საქართველო	100.0%	100.0%
შპს "ახალსოფელი ჰესი"	საქართველო	100.0%	100.0%
შპს "ქართლის ქარის ელექტროსადგური"	საქართველო	50.1	57.2%
შპს "საქართველოს მზის კომპანია"	საქართველო	100.0%	-
შპს "ენგურის ტურისტული ცენტრი"	საქართველო	100.0%	-

ბ)საქმიანობის უწყვეტობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის.

გ) სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა. ხელმძღვანელობა არ მოელის, სხვა ახალი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“

2014 წლის მაისში გამოცემული ფასს 15, რომელშიც ცვლილებები შევიდა 2016 წლის აპრილში, ჩაანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული რეტროსპექტული გამოყენება ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ფასს 15 განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. თუმცა, ფინანსურ ინსტრუმენტებისა და იჯარის თანამდები საპროცენტო და საკომისიო შემოსავალი გასცდება ფასს 15-ის სამოქმედო არეალს და დარეგულირდება სხვა მოქმედი სტანდარტებით (ფასს 9-ით და ფასს 16-ით „იჯარა“).

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასს (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების იჯარისა და მოკლევადიანი იჯარის (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით) შემთხვევაში. საიჯარო

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მოიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მოიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შედავათებს ითვალისწინებს.

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ საბოლოო ვერსია, რომელიც ასახავს ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ყველა ფაზას და ჩანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს 9-ის ყველა მანამდე არსებულ ვერსიას. სტანდარტით დამტკიცდა კლასიფიკაციისა და შეფასების, გაუფასურებისა და ჰეჯირების აღრიცხვის ახალი წესები. ფასს 9 ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შედარებადი ინფორმაციის ხელახლა წარმოდგენა სავალდებულო არ არის.

კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის თანახმად ყველა სავალდებულო ფინანსური აქტივი, რომელიც არ აკმაყოფილებს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების“ კრიტერიუმს, კლასიფიცირებულია პირველადი აღიარებისას სამართლიანი ღირებულებით და ასახულია მოგებაში ან ზარალში (სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში). აღნიშნული კრიტერიუმის თანახმად, სავალდებულო ინსტრუმენტები, რომლებიც არ შეესაბამება „საბაზისო სასესხო შეთანხმების“ განმარტებას, როგორიცაა სესხები „რეგრესის უფლების გარეშე“ ან ჩართული კონვერტაციის ოფციონის მქონე ინსტრუმენტები, ფასდება სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში. სავალდებულო ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების“ კრიტერიუმს, პირველადი აღიარებისას კლასიფიკაცია განისაზღვრება იმ ბიზნეს მოდელის საფუძველზე, რომლითაც იმართება აღნიშნული ინსტრუმენტები:

- ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით;
- ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“, ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- ინსტრუმენტები, რომელთა მართვა ხორციელდება სხვა საფუძველით, მათ შორის სავაჭრო ფინანსური აქტივები, ფასდება სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

საკუთარ კაპიტალში შემავალი ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია აუცილებელია პირველადი აღიარებისას სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, თუ ინსტრუმენტი გამოუთხოვდად არ

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

არის კლასიფიცირებული სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, გარდა დივიდენდის სახით შემოსვლისა, აღიარებული უნდა იქნეს სხვა სრულ შემოსავალში, მოგებაში ან ზარალში შემდგომი გადატანის გარეშე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.** ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ჯგუფმა გამოიყენა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა). ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც ჯგუფის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში ასახული ოპერაციების გადაყვანა ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ოპერაციის მოხდენის ან აქტივების/ვალდებულებების შეფასების დღისთვის არსებული გასაცვლელი კურსით. ასეთი ოპერაციებიდან, ასევე წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული მუხლების შეფასებიდან წარმოშობილი საკურსო სხვაობებიდან მიღებული მოგება და ზარალის აღიარება ხდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ეფექტი აისახება კაპიტალში, როგორც ფულადი ნაკადების და წმინდა ინვესტიციის ჰეჯირება.

ფულად სახსრებთან და მათ ეკვივალენტებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობის ეფექტის წარდგენა ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში - „მოგება ან ზარალი საკურსო სხვაობებიდან“, სხვა საკურსო სხვაობებთან ერთად.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	დოლარი	ევრო
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044
კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6468	2.7940

შემოსავლები

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ჯგუფი მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- ჯგუფი არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან ჯგუფი მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. სხვა შემოსავალი, შესაბამის ხარჯებთან დანეიტებული ფორმით, აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც ის წარმოიქმნა.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯი აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე საადრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ მათგან მოსალოდნელი აღარ არის მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოტანა.

ხელფასებისა და ბონუსების აღრიცხვა

ხელფასების, პრემიებისა და ბონუსების დარიცხვა ხდება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება ჯგუფს.

ძირითადი საშუალებები

(ა) აღიარება და შეფასება

ჯგუფი ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ბასს 16-ის - „ძირითადი საშუალებები“ მიხედვით. ძირითადი საშუალებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

გამოკლებული ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება ვალდებულებებში რეზერვის სახით.

თუ ძირითადი საშუალების ცალკეულ ერთეულს ექსპლუატაციის სხვადასხვა პერიოდი აქვს, მაშინ ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკეულ ერთეულად (ძირითად კომპონენტებად).

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (სხვაობა გაყიდვის ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში სხვა შემოსავალში/სხვა ხარჯში.

(ბ) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

(გ) ცვეთა

ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება შევიდა ექსპლუატაციაში, მას ცვეთა ერიცხება მისი აღიარების შეწყვეტამდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ფასს 5-ის - “გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები” შესაბამისად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას. მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

კატეგორია	სასარგებლო მომსახურების ვადები (წელი)
ქარის ელექტროსადგური	20
კომპიუტერები და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა	2-5
ავეჯი და ინვენტარი	2-10
სხვა მანქანა დანადგარები და ინვენტარი	2-5
სატრანსპორტო საშუალებები	5

აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივებისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. ჯგუფი მათ თავდაპირველ აღიარებას ახდენს რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენსას ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ჯგუფის სესხები და მოთხოვნები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. ჯგუფის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე საბანკო დეპოზიტებს.

კაპიტალი

კაპიტალში განხორციელებული შენატანები აღირიცხება თვითღირებულებით. ახალი აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანების შემთხვევისა, აღიარდება წმინდა ღირებულებით, შესაბამისი მოგების გადასახადის გამოკლებით. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი გადახდები წარმოადგენს დამატებით შენატანს კაპიტალში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით. ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური და საოპერაციო იჯარა

ჯგუფი იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებს და შემოსავლებს ჯგუფი ხარჯად აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის მიღებას ან გადაცემას.

საწყისი აღიარების დროს ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს აქტივს და ვალდებულებას საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით, ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით. შემდგომი პერიოდის ფინანსურ ხარჯებს ჯგუფი ანაწილებს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით და აღიარებს შესაბამისი პერიოდის ხარჯად.

ფინანსური იჯარით მიღებული აქტივის შემდგომი აღრიცხვა ხორციელდება ბასს 16-ის მიხედვით, სასარგებლო მომსახურების ვადას ჯგუფი განსაზღვრავს შემდეგნაირად:

- თუ ჯგუფს აქვს დიდი მოლოდინი რომ ლიზინგის ვადის გასვლის შემდეგ, მოხდება ამ აქტივის მის საკუთრებაში გადმოსვლა, მაშინ სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება აქტივის მომსახურების ვადის შესაბამისად, თუ არა,
- სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ლიზინგის ვადის პროპორციულად.

აქტივის უკუიჯარით გაყიდვისას თუ გაყიდული აქტივის ამონაგები თანხა მეტია მის საბალანსო ღირებულებაზე, ჯგუფი ამ ნამეტს აღრიცხავს გადავადებულ შემოსავლად და პერიოდულად უკეთებს ამორტიზირებას საიჯარო ვადის პროპორციულად.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	ქარის ელექტროსადგური	შენობა- ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და ინვენტარი	სხვა	არამატერიალური აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2015	2,682,971	13,686,127	-	51,321	178,809	69,206	13,298	146,920	29,884	16,858,536
შესყიდვები-გადმოცემა	1,550	66,528,024	-	-	-	9,530	3,177	181,247	-	66,723,528
გასვლა	(1,550)	(4,709,476)	-	-	(28,733)	(3,098)	(2,122)	(6,420)	-	(4,751,399)
სესხის პროცენტის კაპიტალიზაცია	-	666,502	-	-	-	-	-	-	-	666,502
გადატანა	-	(65,305,922)	65,305,922	-	-	-	-	-	-	-
ისტორიული ღირებულება 31.12.2016	2,682,971	10,865,255	65,305,922	51,321	150,076	75,638	14,353	321,747	29,884	79,497,167
შემოსვლა	1,379,490	1,458,653	199,249	-	-	45,119	197,817	968,854	-	4,249,182
გადატანა	-	-	-	-	-	-	-	(26,315)	-	(26,315)
ისტორიული ღირებულება 31.12.2017	4,062,461	12,323,908	65,505,171	51,321	150,076	120,757	212,170	1,264,286	29,884	83,720,034
დაგროვილი ცვეთ										
დაგროვილი ცვეთ 31.12.2015	-	-	-	(12,394)	(88,812)	(48,414)	(3,987)	(4,658)	(11,469)	(169,734)
ცვეთა	-	-	(84,575)	(5,132)	(15,829)	(10,121)	(251)	(44,116)	(2,755)	(162,779)
გასვლების დაგროვილი ცვეთ	-	-	-	-	2,418	1,075	363	-	-	3,856
დაგროვილი ცვეთ 31.12.2016	-	-	(84,575)	(17,526)	(102,223)	(57,460)	(3,875)	(48,774)	(14,224)	(328,657)
ცვეთა	-	-	(3,277,128)	(5,132)	(12,494)	(15,265)	(27,575)	(44,233)	-	(3,381,827)
გასვლების დაგროვილი ცვეთ	-	-	-	-	-	-	-	4,051	-	4,051
დაგროვილი ცვეთ 31.12.2017	-	-	(3,361,703)	(22,658)	(114,717)	(72,725)	(31,450)	(88,956)	(14,224)	(3,706,433)
წმინდა საბალანსო ღირებულება										
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2016	2,682,971	10,865,255	65,221,347	33,795	47,853	18,178	10,478	272,973	15,660	79,168,510
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2017	4,062,461	12,323,908	62,143,468	28,663	35,359	48,032	180,720	1,175,330	15,660	80,013,601

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

6. ინვესტიციები

ინვესტიციები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საოპერაციო საქმიანობა	31 დეკემბერი 2017		31 დეკემბერი 2016	
		წილი	ღირებულება	წილი	ღირებულება
შპს "ჩორდულა ჰესი"	ელექტროენერგიის წარმოება	45.0%	50,446	-	-
შპს "ყვირილა ჰესი"	ელექტროენერგიის წარმოება	20.0%	173,697	20.0%	173,697
შპს "ართანა ლოპოტა"	ელექტროენერგიის წარმოება	20.0%	100,000	20.0%	100,000
სს "ჩალიკვინდ ჯორჯია"	ელექტროენერგიის წარმოება	15.0%	367,485	15.0%	367,485
სს "გეოჰიდრო"	ელექტროენერგიის წარმოება	15.0%	50,505	15.0%	50,505
შპს "ზესტაფონის ქარის ელექტროსადგური"	ელექტროენერგიის წარმოება	10.0%	40,000	-	-
სს "სუფსა ენერჯი"	ელექტროენერგიის წარმოება	-	-	20.0%	200,000
სულ ინვესტიციები			782,133		891,687

ყველა ინვესტიცია განხორციელებულია საქართველოში. ზემოთხსენებულ არც ერთ კომპანიას არ დაუწყია ელექტროენერგიის წარმოება.

7. მარაგები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მატერიალური მარაგები შეადგენს 279,007 ლარს საიდანაც:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
რკინის კონსტრუქციები ხიდის მშენებლობისთვის*	188,723	188,723
მილსადენი**	90,284	90,284
რკინის კონსტრუქციები ექსპო ასტანა 2017	8,000	-
სულ მარაგები	287,007	279,007

* სს ნამახვანის 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისთვის მარაგები მოიცავს რკინის კონსტრუქციებსა და ფირფიტებს, რომელიც სოფელ ტვიშიში ხიდის მშენებლობისთვის გამოსაყენებლ მასალას წარმოადგენდა. აღნიშნული ხიდის მშენებლობა შეწყდა 2014 წელს და გაფორმებული შეთანხმების თანახმად აღნიშნული მასალები, რომელთა რეალური ღირებულება შეფასების აქტის საფუძველზე განისაზღვრა 188,724 ლარი, გადაეცა სს ნამახვანს.

** სს საქართველოს ენერგეტიკი განვითარების ფონდის მატერიალური მარაგები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს 12,488 მეტრის სიგრძის 90,284 ლარად შეფასებულ მილსადენს, რომელიც 2012 წლის 9 აგვისტოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანებით შეტანილ იქნა სს "GGEDC"-ის სააქციო კაპიტალში.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	1,034,620	83,953
გადახდილი ავანსები	41,620	28,920
სხვა მოთხოვნები	46,543	48,507
სულ ფინანსური მოთხოვნები	1,122,783	161,380
არაფინანსური მოთხოვნები		
საგადასახადო აქტივი	2,282,087	7,233,131
სულ არაფინანსური მოთხოვნები	2,282,087	7,233,131
სულ მოთხოვნები	3,404,870	7,394,511

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ფული დეპოზიტზე ეროვნულ ვალუტაში	29,400,000	-
შეზღუდული ფული*	4,615,113	8,792,457
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	7,581,534	33,501,208
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	5,158,508	4,622,376
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	46,755,155	46,916,041

*ჯგუფს 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია შეზღუდული ფული 1,780,385 და 3,146,907 ევროს ოდენობით. შეზღუდული ფულის არსებობა გამომდინარეობს ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის მოთხოვნებიდან.

10. სესხები

სესხები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი	6 თვის ლიბორი + 4.5%	აშშ დოლარი	6-ოქტ-16	1-თებ-27	49,835,572	49,370,912
სულ გრძელვადიანი სესხი					49,835,572	49,370,912

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი	6 თვის ლიბორი + 4.5%	აშშ დოლარი	6-ოქტ-16	1-თებ-27	6,104,419	2,264,949
სულ მოკლევადიანი სესხები					6,104,419	2,264,949

სულ სესხები					55,939,991	51,635,861
--------------------	--	--	--	--	-------------------	-------------------

EBRD სესხის აღებისათვის გადახდილი თანხები					(1,357,042)	(1,507,824)
ნეტო სესხები					54,582,949	50,128,037

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
სავაჭრო ვალდებულებები	1,515,803	13,556,529
გადასახდელი ხელფასები	4,472	2,472
მიღებული ავანსები	2,113	1,609
ვალდებულებები ფიზიკური პირების მიმართ	1,299	1,916
სხვა ვალდებულებები	9,008	7,231
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,532,695	13,569,757

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

12. შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი წარმოადგენს შპს "ქართლის ქარის ელექტროსადგურის" მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის რეალიზაციას. 2017 წელს ელექტროენერგიის გამოიმუშავებამ შეადგინა 87,688,799 კვ/სთ, ღირებულებით 14,106,814 ლარი.

13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2017 და 2016 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
ცვეთა	(3,451,979)	-
ტექნიკური მომსახურება და მიმდინარე რემონტი	(2,606,228)	-
ხელფასი	(149,079)	-
დაზღვევა	(67,350)	-
დაცვა	(58,535)	-
სხვა	(81,875)	-
სულ	(6,415,046)	-

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები 2017 და 2016 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
შრომის ანაზღაურება	(1,553,742)	(1,336,467)
საგადასახადო ხარჯი	(813,216)	(455,950)
პროფესიული მომსახურება	(441,702)	(180,618)
იჯარის ხარჯი	(162,520)	(59,355)
ცვეთა და ამორტიზაცია	(148,768)	(162,377)
საწევრო ხარჯები	(66,000)	-
მივლინების ხარჯი	(45,393)	(49,715)
რეკლამის ხარჯი	(41,775)	-
საწვავის ხარჯი	(31,095)	(23,491)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(13,796)	(151,396)
კომუნიკაციის ხარჯი	(10,050)	(11,232)
ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ხარჯები	(7,348)	-
საკანცელარიო ხარჯი	(5,113)	(6,039)
კომუნალური	(4,055)	(4,075)
დაზღვევა	(3,017)	(3,313)
კომპიუტერის ხარჯები	(854)	(548)
ავტომობილის შენახვის ხარჯი	-	(19,702)
სხვა ხარჯები	(121,559)	(34,102)
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	(3,470,003)	(2,498,380)

15. წმინდა ამონაგები ინვესტიციის გაყიდვიდან

2017 წლის 25 სექტემბერს სს „ფერს“, შპს „ანაგსა“ და სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება სს „სუფსა ენერჯის“ კაპიტალში 200,000 ცალი აქციის შეძენის თაობაზე. ხელშეკრულების მიხედვით ფონდმა გაყიდა სს „სუფსა ენერჯის“ კაპიტალში ფლობილი 200,000 ცალი აქცია, 1 ლარის ნომინალური ღირებულებით, რაც მთლიანი კაპიტალის 20%-ს წარმოადგენდა. აქციები თანაბარი რაოდენობით შეიძინეს სს „ფერმა“ და შპს „ანაგმა“ 286,712 ლარად, შესაბამისად წმინდა ამონაგებმა შეადგინა 86,712 ლარი.

2016 წლის 29 დეკემბერს სს "დარილი ენერჯიმ" უკან შეისყიდა სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ მიერ სს "დარილი ენერჯის" სააქციო კაპიტალში ფლობილი აქციები. ინვესტიცია რომლის საბალანსო ღირებულება იყო 16,706,000 ლარი, ჯგუფმა გაყიდა 39,661,500 ლარად, საიდანაც მიიღო წმინდა ამონაგები 22,955,500 ლარი.

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

16. წმინდა საპროცენტო ხარჯი

წმინდა საპროცენტო ხარჯი 2017 და 2016 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
ფინანსური შემოსავალი:		
დეპოზიტზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი	3,001,788	-
მიმდინარე ანგარიშზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი	353,721	612,673
სულ ფინანსური შემოსავალი	3,355,509	612,673
ფინანსური ხარჯი:		
მიღებულ სესხზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(3,502,247)	(3,268,949)
სულ საპროცენტო ხარჯი	(3,502,247)	(3,268,949)
სულ ფინანსური ხარჯი	(146,738)	(2,656,276)

17. წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან

წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან 2017 და 2016 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
დადებითი საკურსო სხვაობა	10,663,551	1,575,212
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(9,315,634)	(6,432,279)
სულ წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	1,347,917	(4,857,067)

18. წმინდა სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

წმინდა სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი 2017 და 2016 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		
მოგება საწარმოს საწესდებო კაპიტალის შეცვებიდან	11,558	-
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	11,558	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		
მარაგების გაუფასურების ხარჯი	(346,646)	-
დამფუძნებელზე უსასყიდლოდ გადაცემული აქტივები	-	(3,628,893)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	(13,462)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-	(1,527)
შემოსავალი სატენდერო დოკუმენტაციის მიწოდებიდან	-	26,119
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(346,646)	(3,617,763)
სულ წმინდა სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(335,088)	(3,617,763)

19. პოტენციური ვალდებულებები

ჯგუფს ჩვეული საქმიანობის პროცესში საქმე აქვს სასამართლო სარჩელებსა და პრეტენზიებთან. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ სარჩელებისა და პრეტენზიების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებზე მაქსიმალური პასუხისმგებლობა არ იქონიებს არსებით გავლენას ფინანსურ მდგომარეობაზე ან ჯგუფის მომავალ ოპერაციებზე.

20. რისკების მართვა

ჯგუფის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ბიზნესის სხვა სექტორების მსგავსად, ჯგუფს გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები.

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შესაძლებელია რისკის ქვეშ იმყოფებოდეს, შემდეგი სახეობისაა:

- ფული და ფულის ექვივალენტები
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ძირითადი მიზნები, პოლიტიკები და რისკების განეიტრალების გზები

ჯგუფის რისკების მართვა ხორციელდება უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ. უმაღლესი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, უმაღლესი მენეჯმენტის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების ხელმძღვანელობაზე.

ხელმძღვანელობა ამზადებს ყოველთვიურ ანგარიშებს, რითაც მოწმდება არსებული პროცესების, დასახული მიზნებისა და მიღებული პოლიტიკების მართლზომიერება. ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, ამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს ჯგუფის საქმიანობაზე. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. საკრედიტო რისკი გამოწვეულია კონტრაგენტისათვის ფულის გასესხებით ან სხვა ტრანზაქციით, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივის ზრდასთან.

ჯგუფი დგას ძირითადი საკრედიტო რისკის წინაშე კომერციულ ბანკში განთავსებული ფულადი სახსრების შემთხვევაში. ჯგუფის მომსახურე ყველა ბანკი მოიაზრება საქართველოში მოქმედ უმსხვილეს ბანკებს შორის. ფულისა და ფულის ექვივალენტების გაუფასურებას ადგილი არ ქონია.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ უცხოურ ვალუტაში გამოხატული საპროცენტო და სასაქონლო ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებით. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში. იქიდან გამომდინარე, რომ ჯგუფის ყველა ფინანსურ აქტივს და ვალდებულებას გააჩნია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი ჯგუფი არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ შესაძლებელია შეიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე ხშირად ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას არჩეული ვალუტის ფასის ცვლილება. იქიდან გამომდინარე, რომ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

ვალდებულებები მცირეა ჯგუფის სავალუტო რისკი მინიმალურია.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა ჯგუფის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

ხელმძღვანელობა აკონროლებს მსგავსი სახის რისკებს ვადიანობის ანალიზის მეშვეობით, რაც განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომდევნო საანგარიშო პერიოდისათვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი ახორციელებს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესს.

კაპიტალის შესახებ ინფორმაციის ახსნა-განმარტება

კაპიტალის მართვისას ჯგუფი მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მეწილეებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად საქონლისა და მომსახურების შეფასებით.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. ჯგუფი მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

21. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები, ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24-ის, „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით წარმოადგენს:

- ა) მხარეს, რომელიც პირდაპირ, ან ერთი, ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის ა) ან ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმოს, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ა) და ბ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ პიროვნებები;

შესაძლო დაკავშირებული მხარეების განსაზღვრისას, ყურადღება ექცევა საერთო ოპერაციების შინაარსს და არა იურიდიულ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	2017	2016
მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება		
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომითი ანაზღაურება	323,178	278,422



სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

2017 წლის მმართველობითი ანგარიში

რომეო მიქაუტაძე
დირექტორი

2017 წლის ანგარიში

გამოქვეყნების თარიღი: 5/09/2018



სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

2017 წლის მმართველობითი ანგარიში

რომეო მიქაუტაძე
დირექტორი

2017 წლის ანგარიში

გამოქვეყნების თარიღი: 5/09/2018

სარჩევი

ჩვენ შესახებ	2
ფონდის სტრუქტურა	3
ფონდის მიერ შესრულებული სამუშაოები.....	3
მიმდინარე პროექტები	4
2017 წლის ფინანსური შედეგები.....	19

ჩვენ შესახებ

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“, რომლის აქციების 100%-ის მფლობელია სახელმწიფო, დაარსდა 2010 წლის 13 დეკემბერს. 2010 წლის 22 დეკემბერს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციები მართვის უფლებით გადაეცა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს. 2017 წელს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გაერთიანების შედეგად სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ მართვა დაუბრუნდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.


2012 წლის 27 სექტემბერს, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის გადაწყვეტილებით სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“ შეერწყა სს „GGEDC“, რის შედეგადაც განხორციელდა ამ კომპანიის ლიკვიდაცია, ხოლო მისი უფლებამონაცვლე გახდა სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“. (შემდგომში „საზოგადოება“)

საზოგადოების საქმიანობას წარმოადგენს ინვესტიციების მოზიდვა ენერგეტიკის სფეროში, ელექტროენერგიის გადაცემა და ყიდვა–გაყიდვა. ფონდის მისიაა ხელი შეუწყოს ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალის რეალიზაციას, შესაბამისი ფონდების მოძიებას, პროექტების განვითარებას მათი ეფექტიანი განხორციელების გზით. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე ფონდი ეწევა შემდეგ საქმიანობებს:

- წინასწარი კვლევითი სამუშაოების ჩატარება;
- პროექტების წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება;
- პროექტის გარემოზე ზემოქმედების წინასწარი შეფასება;
- ინვესტორების მოძიება და დაინტერესება არსებული პროექტებით;
- პროექტების განვითარება;

ფონდის სტრუქტურა

ფონდის მართვას ახორციელებს აქციონერი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით და დირექტორი, რომლის დაქვემდებარებაში არის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: დირექტორატი და მასში შემავალი სტრუქტურები.



2017 წლის მონაცემებით ფონდში მუდმივ დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 30-ს.

ფონდის მიერ შესრულებული სამუშაოები

იურიდიული მიმართულების სტატისტიკა	
წერილები	171
ბრძანებები	150
სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებები	57
სხვა ხელშეკრულებები და შეთანხმებები	45
მინდობილობები	16
სასამართლო საქმეები	3

სასამართლო საქმეები

1. ააიპ "მედიის განვითარების ფონდი" – მედია საშუალებებისთვის გადახდილი თანხების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა – 2017 წელს გაიმართა სააპელაციო სასამართლოს სხდომა. სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ფონდისა და ენერგეტიკის სამინისტროს სააპელაციო საჩივრები. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა საკასაციო წესით.
2. ზურაბ ფულარია – ფონდისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება (ავტომანქანის შეკეთების ხარჯები) – ფონდის სასარგებლოდ მიღებული საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ზურაბ ფულარიას მიერ გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო წესით.
3. მილსადენის ქურდობა - ფონდის კუთვნილი მილსადენის ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც ფონდი წარმოდგენილია როგორც დაზარალებული. ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში ფონდი გეგმავს სამოქალაქო სარჩელის შეტანას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

მიმდინარე პროექტები

ბორჯომის ჰესის რეაბილიტაციის პროექტი

ადგილმდებარეობა: ბორჯომის მუნიციპალიტეტი

სიმძლავრე: სავარაუდოდ 2 მგვტ.

გამომუშავება: ამ ეტაპზე უცნობია

მშენებლობის ნებართვის აღების თარიღი: ამ ეტაპზე არ არის დადგენილი, თუმცა ფონდს უკვე აღებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვა.

მშენებლობის დასრულების თარიღი: ამ ეტაპზე უცნობია

ინფორმაცია კომპანიაზე: პროექტს ახორციელებს თავად სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“;

საწესდებო კაპიტალი: პროექტს ახორციელებს სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“.

2017 წლის 29 სექტემბერს სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდსა“ და შპს „გროს ენერჯი ჯგუფს“ შორის გაფორმდა ბორჯომის ჰიდროელექტროსადგურის საპროექტო-კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების დასრულების სავარაუდო თარიღია 2018 წლის

იანვარი.

პარალელურად მიმდინარეობს პროექტის განსახორციელებლად საჭირო მიწებზე საკუთრების უფლების მოპოვების პროცესი.

დასახელება: **ტორშილა ჰესის პროექტი**

ადგილმდებარეობა: **იმერეთი**

სიმძლავრე: **1.69 მგვტ**

გამომუშავება: **6.88 მლნ. კვტ/სთ**

მშენებლობის ნებართვის აღების თარიღი: **ამ ეპატზე არ გვაქვს**

მშენებლობის დასრულების თარიღი: **ჯერ-ჯერობით უცნობია**

ინფორმაცია კომპანიაზე: პროექტს ახორციელებს თავად სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“;

საწესდებო კაპიტალი: პროექტს ახორციელებს სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“.

2017 წლის 25 ივლისის # 113 წერილით სს „საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს განვითარების ფონდმა“ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიმართა მემორანდუმის გაფორმების თხოვნით. ამჟამად ველოდებით შესაბამის პასუხს.

საქართველოს მთავრობამ მოიწონა აღნიშნული პროექტის ფარგლებში გასაფორმებელი მემორანდუმის პროექტი, რის შემდეგაც ფონდის მიერ მოხდა შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაციის და საპროექტო-კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე ტენდერის გამოცხადება. ამჟამად ფონდი ელოდება ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენას.

დასახელება ჩორდულა ჰესი

ადგილმდებარეობა: რაჭა-ლეჩხუმი

სიმძლავრე: 1.97 მგვტ.

გამომუშავება: 9.27 მლნ.კვ/სთ

მშენებლობის ნებართვის აღების თარიღი: ამ ეტაპზე უცნობია

მშენებლობის დასრულების თარიღი: ამ ეტაპზე უცნობია

ინვესტიცია: საწესდებო კაპიტალი - 350 000 ლარი

ინფორმაცია კომპანიაზე: პარტნიორები: სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ – 45%; შპს „რაჭაენერჯი“ – 55%;

საწესდებო კაპიტალი: საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 350 000 ლარს. ამჟამინდელი მდგომარეობით, შპს „რაჭაენერჯის“ მიერ შეტანილია 61 657.50 ლარი, ხოლო ფონდის მიერ 50 447.05 ლარი.

2017 წლის 18 სექტემბერს შპს „ჩორდულა ჰესმა“ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიმართა მემორანდუმის გაფორმების მოთხოვნით. ამჟამად ველოდებით შესაბამის პასუხს.

დასახელება: ნამახვანის ჰესების კასკადი

ადგილმდებარეობა: მდ. რიონი, წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტი;

სიმძლავრე: 433 მგვტ;

გამომუშავება: 1514 მლნ.კვტ.სთ;

მშენებლობის ნებართვის აღების თარიღი: 26 იანვარი 2016 წელი;

მშენებლობის დასრულების თარიღი: 31 დეკემბერი 2020 წელი (რადგან სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ გეგმავს ნამახვანის პროექტის გაყიდვას, შესაძლოა მოხდეს მშენებლობის დასრულების თარიღის გადაწევა);

ინვესტიცია: 20,994,920 ლარი;

ვადები: სამშენებლო სამუშაოების დაწყებისა და ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების ვადა - განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (გარდა რადიაციული ან

ბირთვული ობიექტებისა) მშენებლობის ნებართვა N:395-ის მიხედვით;

საქართველოს მთავრობას, სს „ნამახვან ჰესების კასკადს“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორს“ შორის **მემორანდუმის გაფორმების თარიღია 2012 წლის 27 მარტი**. ურთიერთგაგების მემორანდუმის თანახმად სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ იღებს ვალდებულებას შეისყიდოს ნამახვანჰესების კასკადზე გამომუშავებული ელექტროენერგია. გამომუშავებული ელექტროენერგიის შესყიდვის ვადა განისაზღვრება ნამახვანჰესების კასკადის მშენებლობის **სრული მოცულობით დასრულებისა და ექსპლუატაციაში შესვლიდან 10 წლის განმავლობაში**. ამასთან, 1 კვტ. ელექტროენერგიის ღირებულება იქნება 0,06 აშშ დოლარი.

სტატუსი: 2017 წლის 6 ივლისს შპს „ქლინ ენერჯი გრუპ ჯორჯია“-ს, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდ“-სა და სს „ნამახვანს“ შორის გაფორმდა **მშენებლობასთან, ფლობისასთან და ოპერირებასთან მიმართებაში Joint Development Agreement**. ხელშეკრულების ვადაა 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ამ ხელშეკრულების თანახმად შპს „ქლინ ენერჯი გრუპ ჯორჯია“-ს, მიერ ოპერირებისა და ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე ის ვალდებულია:

ა) დაასრულოს ჰიდროელექტროსადგურამდე მისასვლელი გზის საპროექტო კვლევითი სამუშაო და ჰიდროელექტროსადგურის ძირითადი კვლევა, უზრუნველყოს 2015 წლის 24 დეკემბერს გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული ელექტროსადგურის ძირითადი პარამეტრების განხორციელება.

ბ) აირჩიოს საერთაშორისო EISA კონსულტანტი, რომელიც ჩაატარებს დამატებით კვლევებს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების (IFI (International Financial Institute) სტანდარტებთან შესაბამისობაში;

გ) მიიღოს IFI-სგან დაფინანსების შესახებ წინასწარი თანხმობა;

დ) უზრუნველყოს ნამახვანის სამართლებრივი კვლევა (შეთავსებადობა, ფინანსური და სამართლებრივი აუდიტი)

ე) უზრუნველყოს საერთაშორისო საინჟინრო კომპანიის არჩევა საინჟინრო, შესყიდვისა და მშენებლობის ტექნიკური და სამართლებრივი ურთიერთობის მხარდასაჭერად

ვ) უზრუნველყოს ოპერირებისა და ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების საქართველოს მთავრობასთან შეთანხმება საერთაშორისო ფინანსური

ინსტიტუციების მოთხოვნების გათვალისწინებით, არაუგვიანეს 2018 წლის 1 ივლისისა, შემდეგი მიზნებით:

- ფონდისა და ნამახვანის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად;
- საქართველოს მთავრობის მიერ PPA და BOO ხელშეკრულებების გაფორმება, რომელიც დადებულ იქნება IFI-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

ზ) ფონდი აგრეთვე ვალდებულია უზრუნველყოს პირობათა დაცვა ოპერირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე.

ტყის მასივის აღრიცხვა

პროექტის განმახორციელებელი კომპანია: სს „ნამახვანი“ დირექტორი - გიორგი ჩაჩიბაია; პარტნიორი: სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ – 100 %;

საწესდებო კაპიტალი მთლიანად - 20,994,920 ლარი ; აქედან შევსებულია: 20,699,218 ლარი

დასახელება: ენგურის ტურისტული ცენტრი;

ადგილმდებარეობა: წალენჯიხის მუნიციპალიტეტი სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე, მდ. ენგური;

ინვესტიციის სავარაუდო ღირებულება: შპს „ენგურის ტურისტული ცენტრი“-ს საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2 500 000 ლარს.

სტატუსი: მიმდინარეობს KOKO Arhitektid OÜ-ის მიერ წინასაპროექტო სამუშაოების შემუშავება;

პროექტის განმახორციელებელი კომპანია: შპს „ენგურის ტურისტული ცენტრი“
 პარტნიორი: სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ – 100%; საწესდებო კაპიტალი: 2,500,000 ლარი (GEDF – 2,500,000 ლარი); აქედან ამჟამად შევსებულია: 1,598,369 ლარი;

Koko architects-თან 2017 წლის 25 აგვისტოს გაფორმებული საინჟინრო მომსახურების ხელშეკრულების ღირებულება: 1,998,810 ლარი. ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 2018 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით;

გარანტია: მომსახურების ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით, დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა აღმოფხვრას ნაკლი;

დასახელება: ზესტაფონის ქარის ელექტროსადგური;

ადგილმდებარეობა: იმერეთის რეგიონი, ქ. ზესტაფონის მიმდებარე ტერიტორია;

სიმძლავრე: 50 მგვტ;

გამომუშავება: 162 მლნ. კვტ. საათი;

ინვესტიცია: ჯამში 60,000,000 აშშ დოლარი;

სტატუსი: მემორანდუმის პირობები უკვე შეთანხმებულია, მისი პროექტი მოწონებულია მთავრობის მიერ და ამჟამად დარჩენილია მასზე ხელმოწერა.

პროექტის განმახორციელებელი კომპანია: შპს „ზესტაფონის ქარის ელექტროსადგური“

პარტნიორი: შპს „ჯეოკრაფტი“ - 90%, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ 10%;

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 400 000 ლარს. ამჟამად შპს „ჯეოკრაფტის“ მიერ შეტანილია 180 000 ლარი, ხოლო ფონდის არაფულადი შენატანი, რომლის ღირებულებაცაა 40 000 ლარი.

დასახელება: ქართლის ქარის ელექტროსადგური;

ადგილმდებარეობა: ქართლის რეგიონი, გორის/ქარელის მუნიციპალიტეტი;

სიმძლავრე: 20,7 მგვტ;

გამომუშავება: 88 მლნ. კვტ/სთ;

მშენებლობის ნებართვის გაცემის თარიღი: 6 იანვარი 2016 წელი;

მშენებლობის დასრულების თარიღი: 19 სექტემბერი, 2016;

ინვესტიცია: 31,23 მლნ აშშ დოლარი;

სტატუსი: ოპერირებაშია;

ვადები: მშენებლობის ნებართვის აღება - 4 თვე, შემდეგ 12 თვე - სამშენებლო სამუშაოების დაწყებისა და ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების ვადა;

ექსპლუატაციაში მიღება: 2016 წლის 20 დეკემბერი

პროექტის განმახორციელებელი კომპანია: შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“ სს

„საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ – 50,1%, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ – 49,9%;

საწესდებო კაპიტალი: 9,500,000 აშშ დოლარი (GEDF – 4,759,000 აშშ დოლარი, კორპორაცია - 4,740,500 აშშ დოლარი);

EBRD-ის სესხის ოდენობა: 21,730,000 აშშ დოლარი: წლიური საპროცენტო განაკვეთი - 6 თვიან ლიბორს +4.5%;

შპს „ვესტასი საქართველო“-სთან გაფორმებული ხელშეკრულების (ტურბინების ნასყიდობა) ღირებულება - 19,876,200 ევრო, აგრეთვე 10 წლიანი ვადით Vestas - თან გაფორმებული ოპერირების ხელშეკრულება.

ურთიერთგაგების მემორანდუმის საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას, შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურს და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორს“ გაფორმების თარიღია 2015 წლის 16 ნოემბერი. მასში ცვლილებები განხორციელდა 2016 წლის 31 მარტს. ურთიერთგაგების მემორანდუმი ძალაშია 2026 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით. მისი მიზანია პროექტის განხორციელება მემორანდუმის და ოპერირების სამართლებრივი პირობების დაცვით;

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის N1257 განკარგულების საფუძველზე, შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურმა“ უზრუნველყო იურიდიული საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა. არსებული შესყიდვა განხორციელდა ერთეტაპიანი ელექტრონული SPA ტენდერის საშუალებით და შედეგად გამარჯვებულ კომპანია, შპს „ბი-ელ-სი“ - ს თან გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება ა/წ 06 ნოემბერს. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ბი-ელ-სი“ -ს მომსახურების გაწევის ვადად განესაზღვრა არაუმეტეს 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღე.

ქართლის ქარის ელექტროსადგურის პროექტის ფარგლებში ასევე ხელი მოეწერა საოფისე-სასაწყობო შენობის ორგვლივ კეთილმოწყობის სამუშაოების ჩამტარებელი კომპანიის შპს „გუროსთან“ გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტს.

დასახელება: უდაბნოს მზის ელექტროსადგური;

ადგილმდებარეობა: კახეთის რეგიონი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი უდაბნოს ტერიტორია;

სიმძლავრე: 5 მგვტ;

გამომუშავება: 6.9 მლნ. კვტ.სთ;

პროექტის სავარაუდო ღირებულება: 4,800,000 აშშ დოლარი;

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 7 748 720 ლარს. დღეის მდგომარეობით ფონდის მიერ შეტანილია 402755,47 ლარი და 24 755,47 ლარის ღირებულების არაფულადი შენატანი.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს და სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“ შორის გადამცემ ქსელთან მიერთების ხელშეკრულების გაფორმების თარიღია 2017 წლის 28 თებერვალი;

საქართველოს მთავრობასა და სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“ შორის მემორანდუმის გაფორმების თარიღია 2016 წლის 30 ივნისი. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს მზის ელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხის შესწავლა და მისი მშენებლობა, ფლობა, ოპერირება. ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედების ვადაა ამ მემორანდუმის ხელმოწერიდან 12 თვე;

სტატუსი: 2017 წლის 29 მარტს შევიდა ცვლილება 2017 წლის 28 თებერვალს გაფორმებულ გადამცემ ქსელთან მიერთების ხელშეკრულებაში; აგრეთვე პროექტის ფარგლებში ჩატარებულ იქნა კვლევა, რის შემდეგაც პროექტის ტექნიკურ ეკონომიკური დასაბუთება გადაეცა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს და კომპანიამ მოითხოვა სამშენებლო ფაზის მემორანდუმის გაფორმება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტარიფის თაობაზე მთავრობასთან მოლაპარაკება.

ვადები: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კუთვნილ გადამცემ ქსელზე მიერთების უზრუნველყოფის ვადა არის არაუგვიანეს 2018 წლის 31 მაისი; კომპანიის ელექტროენერგიის გადამცემ ქსელზე მიერთება, დანადგარების ტესტირებისა და საექსპლუატაციოდ გამზადების ჩათვლით უნდა განხორციელდეს 2018 წლის 31 მაისს;

პროექტის განმახორციელებელი კომპანია: შპს „საქართველოს მზის ელექტროსადგური“ პარტნიორი : სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ – 100%;

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-სთან გაფორმებული

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიერთების მეორე ეტაპის ღირებულება შეადგენს 218 000 ლარს დღგ-ს ჩათვლით.

დასახელება: ყვირილა ჰესი;

მდებარეობა: საჩხერის მუნიციპალიტეტი, მდინარე ყვირილა, სოფ. ჭალასა და სოფ. ჯრიას შორის;

სიმძლავრე: 6,6 მგვტ;

გამომუშავება: 35 მლნ. კვტ.სთ;

ინვესტიცია: 13,200,000 აშშ დოლარი;

საქართველოს მთავრობასა და სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“ შორის მემორანდუმის გაფორმების თარიღია 2014 წლის 22 სექტემბერი. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხის შესწავლა და მისი მშენებლობა, ფლობა, ოპერირება. საქართველოს მთავრობასა და შპს „ყვირილა ჰესს“ შორის არსებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების დადების თარიღია 2016 წლის 28 იანვარი. ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედების ვადაა ამ მემორანდუმის ხელმოწერიდან 39 თვე;

სტატუსი: მიმდინარეობს შპს „ყვირილა ჰესი“-ს ან/და მისი კონტრაქტორების საპროექტო ტერიტორიაზე დაშვების პრობლემის გადაწყვეტა გეოლოგიური სამუშაოების წარმოებისთვის, გეოლოგიური კვლევის შესახებ საბოლოო დასკვნის მომზადების მიზნით;

პროექტის განმახორციელებელი კომპანია: შპს „ყვირილა ჰესი“ პარტნიორები: სს „ჰიდროკაპიტალი“ - 80%, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ – 20%;

საწესდებო კაპიტალი: 1,000,000 ლარი (GEDF – 200,000 ლარი, შევსებული 173,696 ლარი).

დასახელება: **ლოპოტა ჰესი;**

ადგილმდებარეობა: **მდ. ლოპოტა;**

სიმძლავრე: **6 მგვტ;**

გამომუშავება: **33 მლნ.კვტ.სთ;**

ინვესტიცია: **8,158,525 აშშ დოლარი;**

საქართველოს მთავრობასა და სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“ შორის **პირველი ეტაპის მემორანდუმის გაფორმების თარიღია 2014 წლის 17 ივლისი**. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხის შესწავლა და მისი მშენებლობა, ფლობა, ოპერირება. საქართველოს მთავრობასა და შპს „ართანა ლოპოტა“-ს შორის არსებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების დადების თარიღია **2015 წლის 27 თებერვალი**. ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედების ვადაა **2015 წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით**;

სტატუსი: ამ ეტაპზე კომპანია მუშაობს მშენებლობის ნებართვის აღებაზე; **2017 წლის 5 ოქტომბრის მთავრობის განკარგულებით ენერგეტიკის სამინისტროს დაევალია კომპანიასთან სამშენებლო მემორანდუმის გაფორმება**;

პროექტის განმახორციელებელი კომპანია: შპს „ართანა ლოპოტა“ პარტნიორები: შპს „დეკა“ – **80%**, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ – **20%**;

საწესდებო კაპიტალი: **500,000 ლარი (GEDF – 100,000 ლარი, შვესებული - 100,000);**

დასახელება: **ართანა ჰესი;**

ადგილმდებარეობა: **მდ. დიდხევი;**

სიმძლავრე: **4,37 მგვტ;**

გამომუშავება: **24 მლნ.კვტ.სთ;**

ინვესტიცია: **7,770,000 აშშ დოლარი;**

საქართველოს მთავრობასა და სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“ შორის **პირველი ეტაპის მემორანდუმის გაფორმების თარიღია 2014 წლის 17 ივლისი**. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხის შესწავლა და მისი მშენებლობა, ფლობა, ოპერირება. საქართველოს მთავრობასა და შპს „ართანა

ლოპოტა“-ს შორის არსებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების დადების თარიღია 2015 წლის 27 თებერვალი. ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედების ვადაა 2015 წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით;

სტატუსი: ადგილობრივ მოსახლეობასთან პრობლემების გამო რთულდება პროექტის განვითარება და ინვესტორს სჭირდება დრო ამ პრობლემის მოსაგვარებლად ხოლო შემდგომში პროექტის გასაგრძელებლად.

პროექტის განმახორციელებელი კომპანია: შპს „ართანა ლოპოტა“ პარტნიორები: შპს „დეკა“ – 80%, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ – 20%;

ექვითი მთლიანად: 500,000 ლარი (GEDF – 100,000 ლარი, შევსებულია - 100,000 ლარი).

დასახელება: ცენტრალური ქარის ელექტროსადგური;

ადგილმდებარეობა: იმერეთის რეგიონი, საჩხერის მუნიციპალიტეტი;

სიმძლავრე: 120 მგტ;

გამომუშავება: 560 მლნ.კვტ.სთ;

ინვესტიცია: 200,135,542 აშშ დოლარი;

საქართველოს მთავრობასა და სს „ჩალიკ ჯორჯია ვინდ“-ს შორის მემორანდუმის გაფორმების თარიღია 2016 წლის 29 მარტი. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს ქარის მონაცემთა შესწავლა შემდგომში ქარის ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების მიზნით. ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედების ვადაა ამ მემორანდუმის ხელმოწერიდან 15 თვე;

სტატუსი: Çalık Enerji Sanayi ve Ticaret A.Ş. ითხოვს პროექტის განხორციელების გადავადებას, ვიდრე ტარიფის და მიერთების პრობლემა არ გადაწყდება;

პროექტის განმახორციელებელი კომპანია: სს „ჩალიკ ჯორჯია ვინდ“-ი პარტნიორები: CALIK ENERJI SANAYI TICARET A.S – 85%, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ – 15%;

საწესდებო კაპიტალი: 1,000,000 აშშ დოლარი, აქედან ფონდის წილი არის 15%, შევსებულია ბოლომდე, 150 000 აშშ დოლარი.

დასახელება: **ნიგოზას ქარის ელექტროსადგური;**

ადგილმდებარეობა: **შიდა ქართლის რეგიონი, სოფელი ნიგოზასთან;**

სიმძლავრე: **50 მგვტ;**

გამომუშავება: **232 მლნ. კვტ.სთ;**

ინვესტიცია: **65,890,396 აშშ დოლარი;**

საქართველოს მთავრობასა და სს „ჩალიკ ჯორჯია ვინდ“-ს შორის **მემორანდუმის გაფორმების თარიღია 2016 წლის 29 მარტი**. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს ქარის მონაცემთა შესწავლა შემდგომში ქარის ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების მიზნით. ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედების ვადაა **ამ მემორანდუმის ხელმოწერიდან 15 თვე**;

სტატუსი:

ამ ეტაპზე კომპანია ელოდება მთავრობასთან ელექტორენერგიის ტარიფის შეთანხმებას და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისგან“ გადამცემ ქსელთან მიერთების თაობაზე პასუხის მიღებას;

პროექტის განმახორციელებელი კომპანია: სს „ჩალიკ ჯორჯია ვინდ“-ი პარტნიორები: **CALIK ENERJI SANAYI TICARET A.S – 85%, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ – 15%;**

საწესდებო კაპიტალი: **1,000,000 დოლარი (GEDF – 150,000 დოლარი, შევსებულია - 150,000).**

დასახელება: ახალსოფელი ჰესი

ადგილმდებარეობა: კახეთი, ყვარლის რაიონი, მდინარე შორახევი, სოფელი ახალსოფელი;

სიმძლავრე: 2.2 მგვტ

გამომუშავება: 11 მლნ. კვტ/სთ

მშენებლობის ნებართვის აღების თარიღი: ამ ეტაპზე არ გვაქვს

მშენებლობის დასრულების თარიღი: პროექტი ამჟამად შეჩერებულია

ინფორმაცია კომპანიაზე: პარტნიორი: სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ – 100%;

საწესდებო კაპიტალი: კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია 1 მილიონი ლარით. მეორე პარტნიორს (ნიუ ვილიჯ ენერჯი) საერთოდ არ განუხორციელებია შენატანი. დღეის მდგომარეობით კომპანიის წილების 100% ფლობს სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“.

აუდიტორული კომპანია BDO-ს მიერ შესრულებული „კომპანიის და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ტრანზაქციების შესახებ ანგარიში“-ს მიხედვით, შპს „ახალსოფელი ჰესი“-ს პარტნიორებს არ განუხორციელებიათ საწესდებო კაპიტალის შენატანების შეტანა. პროექტი ამჟამად გაჩერებულია.

პროექტის დასახელება - სს გეოჰიდრო

ფონდთან გაფორმებული საპარტნიორო შეთანხმების ფარგლებში დაგეგმილი იყო 7 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა: ადისჭალა, დოღრა 1, დოღრა 2, ჯეჯორა, მულხურა და მულხი.

საწესდებო კაპიტალი - კომპანიის გაცხადებული კაპიტალი შეადგენს 1 000 000 აშშ დოლარს, ფონდის წილი კომპანიაში შეადგენს 15%. პროექტები ამჟამად შეჩერებულია. (ელოდება სსე 10 წლიანი გეგმის შესაბამისი სამუშაოების დაწყებას).

დასახელება: სს „ალტერნატიული ენერგიის კომპანია“ (ს/კ 405028367)

საპარტნიორო შეთანხმების გაფორმებისა შემდგომ, პარტნიორმა შპს „აეოლუს აპოლო ალტო ენერჯიმ“ აღარ მოინდომა პროექტების განხორციელება. ამჟამად სს „ალტერნატიული ენერგიის კომპანია“ არ ახორციელებს რაიმე პროექტებს.

2016- 2017 წლებში გაყიდული პროექტები

დასახელება: სს დარიალი ენერჯი (ს/კ 401953061)

ადგილმდებარეობა: მცხეთა-მთიანეთი

სიმძლავრე: 108 მგვტ.

გამომუშავება: 510 მლნ.კვ/სთ

მშენებლობის ნებართვის აღების თარიღი: მშენებლობა უკვე დასრულებულია

მშენებლობის დასრულების თარიღი: 2017 წ.

ინვესტიცია: 125 მლნ \$

ვადები: ჰესი უკვე ექსპლუატაციაშია შესული

ინფორმაცია კომპანიაზე: ფონდის საკუთრებაში არსებული წილები უკვე მთლიანად გაყიდულია 2016 წლის 29 დეკემბერს გაფორმდა სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდსა“ და სს „დარიალი ენერჯი“ შორის აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ფონდმა გაყიდა მის საკუთრებაში არსებული 10 000 000 (ათი მილიონი) აქცია (რაც შეადგენდა კაპიტალის 22.56%). ნასყიდობის ფასი შეადგენდა 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) ა.შ.შ დოლარის ექვივალენტს ლარში გადახდის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

დასახელება: ბარამიძე ჰესი;

ადგილმდებარეობა: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, მდინარე სუფსა, სოფ. ბუკისციხესთან;

სიმძლავრე: 8,4 მგვტ;

გამომუშავება: 42 მლნ.კვტ.სთ;

ინვესტიცია: 13,004,048 აშშ დოლარი;

საქართველოს მთავრობასა და სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“ შორის **მემორანდუმის გაფორმების თარიღია 2014 წლის 12 მარტი**. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხის შესწავლა და მისი მშენებლობა, ფლობა, ოპერირება. საქართველოს მთავრობასა და სს „სუფსა ენერჯი“-ს შორის არსებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე ბოლო შეთანხმების დადების თარიღია 2016 წლის 30 ივნისი. ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედების ვადაა ამ მემორანდუმის ხელმოწერიდან 21 თვე;

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“-ს წილის გასხვისების თაობაზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების თარიღია 2017 წლის 25 სექტემბერი;

სტატუსი: ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა უკვე ჩარიცხულია;

პროექტის განმახორციელებელი კომპანია: სს „სუფსა ენერჯი“ პარტნიორები: შპს „ანაგი“ – 40%, შპს „ფერი“- 40%, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ – 20%; ფონდის წილი გაყიდულია.

საწესდებო კაპიტალი: 1,000,000 ლარი (GEDF - 200,000 ლარი, შევსებულია 200,000 ლარი).

საერთაშორისო გამოფენა EXPO 2017

2017 წლის 16 თებერვლის სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ს.ს. „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“-ს დაევალა საერთაშორისო გამოფენაში საქართველოს მონაწილეობის მიღების მიზნით საგამოფენო სივრცის მშენებლობა და სხვა თანმდევი სამუშაოების შესყიდვა.

საერთო ჯამში საერთაშორისო გამოფენა EXPO 2017 -ის მიზნით საგამოფენო სივრცის მშენებლობა და სხვა თანმდევი სამუშაოების შესყიდვაზე სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის მიერ გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 3 248 908,14 ლარი. ფინანსური აღრიცხვის მიზნებისთვის აღნიშნული თანხიდან 2 432 661,07 აღიარებულ იქნა როგორც გაცემული დივიდენდი.

გამოფენის უკეთესად ორგანიზების მიზნით ს.ს. „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ თანამშრომლები იმყოფებოდნენ მივლინებაში ქალაქ ასტანაში, 23

თებერვლიდან 10 სექტემბრის ჩათვლით.

2017 წლის ფინანსური შედეგები

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“
 კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	5	80,013,601	79,168,510
ინვესტიციები	6	782,133	891,687
გადავადებული საგადასახადო აქტივი		-	2,492
სულ გრძელვადიანი აქტივები		80,795,734	80,062,689
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	287,007	279,007
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	3,404,870	7,394,511
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	46,755,155	46,916,041
სულ მოკლევადიანი აქტივები		50,447,032	54,589,559
სულ აქტივები		131,242,766	134,652,248

საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი		56,048,973	54,736,485
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		5,135,379	4,361,182
სულ აქციონერთა კაპიტალი		61,184,352	59,097,667
არამაკონტროლებელი წილი		13,942,770	11,856,787
სულ საკუთარი კაპიტალი		75,127,122	70,954,454
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	10	48,478,530	47,863,088
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		48,478,530	47,863,088
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	10	6,104,419	2,264,949
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,532,695	13,569,757
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7,637,114	15,834,706
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		131,242,766	134,652,248

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“
 კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	14,106,814	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(6,415,046)	-
სულ		7,691,768	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(3,470,003)	(2,498,380)
საოპერაციო მოგება		4,221,765	(2,498,380)

წმინდა ამონაგები ინვესტიციის გაყიდვიდან	15	86,712	22,955,500
წმინდა საპროცენტო ხარჯი	16	(146,738)	(2,656,276)
წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	17	1,347,917	(4,857,067)
წმინდა სხვა არასაოპერაციო ხარჯი	18	(335,088)	(3,617,763)
მოგება დაბეგვრამდე		5,174,568	9,326,014
მოგების გადასახადი		(45,868)	(2,246,342)
წმინდა მოგება		5,128,700	7,079,672
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		5,128,700	7,079,672
სრული შემოსავალი, რომელიც განკუთვნილია:			
- კომპანიის აქციონერები		2,862,592	9,043,968
- არამაკონტროლებელი წილი		2,266,108	(1,964,296)
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		5,128,700	7,079,672

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“
 კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2017	2016
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	5,174,603	7,079,672
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	3,600,747	162,856
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/ზარალი	(1,341,343)	4,857,067
წმინდა საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი	170,731	2,656,276

მოგების გადასახადი	45,906	2,246,342
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(11,558)	-
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	7,639,086	17,002,213
სამუშაო კაპიტალის ცვლილება:		
მარაგები	(8,000)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,442,004	515,299
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(12,508,388)	13,113,808
გრძელვადიანი აქტივებისათვის გადახდილი ავანსი	-	5,201,120
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(3,435,298)	35,832,440
გადახდილი პროცენტები	(2,381,863)	(3,268,949)
გადახდილი მოგების გადასახადი	2,455,683	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(3,361,478)	32,563,491
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ინვესტიციები	(1,231,671)	16,706,000
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,616,423)	(62,642,487)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,848,094)	(45,936,487)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	6,117,252	47,863,088
სესხების დაფარვა	(1,626,876)	(42,452,167)
დივიდენდი	(2,432,661)	-
მიღებული პროცენტები	3,331,516	612,673
კაპიტალში შენატანები	-	8,130
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	5,389,231	6,031,724
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა	(820,341)	(7,341,272)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	46,916,041	52,696,078
ფულისა და ფულის ექვივალენტების გადაფასების ეფექტი	659,455	1,561,235

ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	46,755,155	46,916,041
--------------------------------	------------	------------

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“
 კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	სულ ჯგუფის კაპიტალი
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	56,801,173	(4,682,786)	52,118,387
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	(2,064,688)	-	(2,064,688)
მიმდინარე წლის ზარალი	-	9,043,968	9,043,968
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	54,736,485	4,361,182	59,097,667
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	1,312,488	-	1,312,488
მიმდინარე წლის ზარალი	-	2,862,592	2,862,592
დივიდენდი	-	(2,088,395)	(2,088,395)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	56,048,973	5,135,379	61,184,352